ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №415347

ნომერი: AR189188

თარიღი : 29.10.2012

გაცემის თარიღი : 01.11.2012

გაცნობის თარიღი : 05.11.2012

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კახეთის გზატკეცილზე, საქ.რკინიგზის დეპარტამენტის მძიმე წონების, ჩამოსატვირთი ბაქნის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მერაბ ასათაშვილი პ/ნ 01007003262
- თბილისი თევდორე მღვდლის ქ. N 48 ბ. 102

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს: ვინაიდან თქვენს მიერ სარეკლამო აბრის მოსაწყობად შერჩეული ადგილი წარმოადგენს თვითმართველი ერთეულის საკუთრებას, გაცნობებთ, რომ 2009 წლის 6 თებერვლის #2–4 გადაწყვეტილების თანახმად გამოცხადებული აუქციონის საფუძველზე ქ. თბილისში არსებული სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვას მარჯვენა სანაპიროზე გასცემს შ.პ.ს "აუთდორ ჯი", ხოლო მარცხენა სანაპიროზე შ.პ.ს "სმოდ ედვერთაიზინგი", გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან საჭიროა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმართოთ შ.პ.ს "სმოდ ედვერთაიზინგი"–ს (მისამართი: ვაჟა–ფშაველას გამზ. #45, რუსთავი 2–ის შენობა).

აქვე გაცნობებთ, რომ აღნიშნული ობიექტი მდებარეობს ქალაქის გეგმარებით კარკასზე, ქალაქის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილას, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებული კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, რომლის ფარგლებშიც განთავსებული ნებისმიერი ობიექტის ვიზუალური გადაწყვეტა, ესთეტიკური თვალსაზრისით უნდა ხასიათდებოდეს მაღალი მხატვრული მონაცემებით. სასურველია დახვეწილი სახით მისი გადამუშავება, მხატვრულ ვიზუალური ელფერის სადა და მსუბუქი ფორმულირების შემუშავება, რომელიც მისადაგებული იქნება გარემოს საერთო მოცულობასთან და ასევე მიუღებელია სარეკლამო აბრის ხეზე განთავსება.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge